

ოთარ ნიკოლეიშვილი

**ალექსანდრე მანველიშვილი და რუსეთ-საქართველოს
ისტორიული ურთიერთობის საკითხები**

განსხვავებით საბჭოთა კავშირში მოღვაწე მეცნიერებისაგან, რომლებიც იმჟამინდელი დიქტატორული იდეოლოგიური პოლიტიკის ზეწოლის გამო ძალზე შეზღუდულები იყვნენ ისტორიული მოვლენების ობიექტურად და მიუკერძოებლად შეფასების დროს, უცხოეთში მცხოვრები ჩვენი მამულიშვილები თავიანთ მოსაზრებებსა და შეხედულებებს ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე გამოთქვამდნენ. ეს, რასაკვირველია, იმას სულაც არ ნიშნავს, თითქოს საბჭოთა პერიოდში ჩვენში მხოლოდ კონიუნქტურული და ტენდენციურად იდეოლოგიზებული ნაშრომები იწერებოდა და მეცნიერული აზროვნების განვითარება ჩიხში იყო მოქცეული. იმის ნათელსაყოფად, ყველაფრის მიუხედავად, საბჭოთა ეპოქის ქართულ მეცნიერებას თვით ყველაზე იდეოლოგიზებულ დარგებშიც კი უაღრესად მნიშვნელოვანი წარმატებები რომ აქვს მოპოვებული, მოვლენათა არსში გარკვეულ მკითხველს არაერთი ფუნდამენტური ნაშრომის გახსენება შეუძლია.

იმ მეცნიერებათაგან, რომლებიც ხელისუფლების მიერ საბჭოთა ეპოქაში ფართოდ დამკვიდრებული იდეოლოგიური ნორმატივების ზეწოლის შედეგად ყველაზე მეტად დაზარალდნენ, უწინარესად ისტორია უნდა დავასახელოთ. უპირველეს ყოვლისა, სწორედ ხსენებული იდეოლოგიური დიქტატორული პოლიტიკის შედეგი იყო ის ფაქტი, რომ საბჭოთა პერიოდში მოღვაწე ჩვენი ისტორიკოსების არცთუ მცირე ნაწილი ხშირად ტენდენციურად და შელამაზებულად წარმოაჩენდა მოვლენებს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით დიდი შეცდომები იყო დაშვებული რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის შესწავლის დროს.

აღნიშნული საკითხის მეცნიერული კვლევისას საბჭოთა ეპოქაში მოღვაწე ისტორიკოსები იძულებულნი იყვნენ რეალურად არსებული ვითარება ცალკეულ შემთხვევებში ტენდენციურად და კონიუნქტურულად წარმოეჩინათ და ისტორიული სინამდვილე პრორუსული თვალთახედვით შეეფასებინათ. თუმცა, ამ სირთულეთა მიუხედავად, იმდროინდელ ქართველ ისტორიკოსთა არაერთმა წარმომადგენელმა, დიდი რისკისა და გაბედულების ფასად, მაინც შეძლო მართალი სიტყვის თქმა.

ზემოთქმულ გარემოებას ასე ბაზგასმით აქ კიდევ ერთხელ იმიტომაც მივაპყრობთ განსაკუთრებულ ყურადღებას, რომ ამით გვინდა უფრო ნათლად და მკაფიოდ წარმოვაჩინოთ ის უმნიშვნელოვანესი დამსახურება, რაც რუსეთ-საქართველოს ისტორიული ურთიერთობის მონოგრაფიულად შესწავლისა და ობიექტურად წარმოჩენის საქმეში მიუძღვის XX საუკუნის ქართველ ემიგრანტთა ერთ-ერთ ისეთ უაღრესად თვალსაჩინო წარმომადგენელს, როგორც ალექსანდრე მანველიშვილი იყო.

1931-1934 წლებში, ემიგრაციაში ყოფნის პერიოდში, დაწერილი თავისი დიდმნიშვნელოვანი მონოგრაფიით, რომელიც 1951 წელს გამოიცა პარიზში სახელწოდებით „რუსეთი და საქართველო“ (I ტომი) და რომელშიც ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობები უძველესი დროიდან მოყოლებული

XIX საუკუნის 60-იან წლებამდეა მიმოხილული, ალ. მანველიშვილმა წარმატებით შეავსო საბჭოთა პერიოდის ჩვენს ისტორიულ მეცნიერებაში არსებული დიდი ხარვეზი.

ალ. მანველიშვილის მონოგრაფიის პოზიტიურ მხარეებზე საუბრისას საგანგებოდ უნდა გავსვას ხაზი იმ გარემოებას, რომ ორ ქვეყანას შორის რეალურად არსებული ისტორიული ვითარების შესწავლისა და გაანალიზების დროს მკვლევარი, არცთუ ისე იშვიათად, პირველშემფასებლის როლშიც გამოდის ხოლმე. ხსენებული წიგნის გამოსვლის შემდეგ, განსაკუთრებით ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში, ზემოთ აღნიშნული მიმართულებით წარმართული მეცნიერული კვლევის შედეგად ალ. მანველიშვილის მონოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრებები კიდევ უფრო მეტად გაღრმავდა და ახალ-ახალი დოკუმენტური მასალებით გამდიდრდა, რამაც ხსენებული ნაშრომისადმი ინტერესი თითქოს რამდენადმე გაანელა კიდევ. მაგრამ ამ შემთხვევაში მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის ფაქტი, რომ ქართველი ემიგრანტი ისტორიკოსი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის შესწავლას სწორი და არაკონიუნქტურული მიმართულება მისცა.

ალ. მანველიშვილის ნაშრომის მნიშვნელობას არსებითად ზრდის ის გარემოება, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორია მასში მასშტაბურად, შესაბამისი პერიოდების საერთაშორისო ვითარების კონტექსტშია განხილული, იმ მოვლენებთან უშუალო კავშირში, რომელთაც საქართველო იძულებული გახადეს აქტიურად დაეწყო ძიება რუსეთთან დამაკავშირებელი გზებისა.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა საქართველოს სახელმწიფოებრივი პრობლემების განსჯა-გაანალიზება იმ პოლიტიკურ-ეკონომიკური და სარწმუნოებრივი დაპირისპირებულობის ფონზე, რომელიც ევროპისა და აზიის ქვეყნებს შორის მიმდინარეობდა გამძაფრებული ფორმით გვიანდელ შუა საუკუნეებში.

ალ. მანველიშვილის მტკიცებით, XV-XVIII საუკუნეების საქართველოს ისტორიაში განვითარებული ტრაგიკული მოვლენები, რაც საბოლოოდ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვით დამთავრდა, იმ გულგრილმა და ინერტულმა დამოკიდებულებამაც განსაზღვრა არსებითად, რასაც იმდროინდელი ევროპის სახელმწიფოები იჩენდნენ კავკასიის, კერძოდ კი საქართველოს მიმართ. სამწუხაროდ, მიუხედავად ჩვენი ქვეყნის ლიდერების აქტიური და პერმანენტული მცდელობებისა, მაშინდელი ევროპის სახელმწიფოთა მესვეურები და რომის კათოლიკური ეკლესიის საქეთმპყრობელები რეალურად თითქმის საერთოდ არ დაინტერესებულან ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი პრობლემებით. ალ. მანველიშვილი არა მარტო უბრალოდ აფიქსირებს ამ მოვლენას, არამედ მის არგუმენტირებულ ახსნასაც ცდილობს.

მისი აზრით, აღრიხდელ საუკუნეებში ჩვენი ქვეყნისადმი, საერთოდ, მთელი წინა აზიისადმი და კავკასიისადმი, მსოფლიოში სრულიად განსხვავებული დამოკიდებულების არსებობა, რამაც საქართველოს სახელმწიფოებრივ განვითარებაზეც მოახდინა უდიდესი და მეტად კეთილისმყოფელი ზეგავლენა, იმით იყო განპირობებული, რომ ხსენებული რეგიონი „ევროპისა და აზიის ხალხთა მიმოქცევის სარბიელს წარმოადგენდა. აქ იყო კაცობრიობის მთავარ რასათა კიდილის მოედანი. აქ ჩაისახა და იშვა ადამიანის შემოქმედება და აქვე დაირწა აკვანი პირველი საკაცობრიო ცივილიზაციისა.

ეს იყო ორი ქვეყნის შეხვედრის ცენტრი: მისი საშუალებით უკავშირდებოდა დასავლეთი აღმოსავლეთს“ (გვ. 13).

საქართველო, საერთოდ კავკასია, ამ დიდ საერთაშორისო როლსა და მნიშვნელობას, ალ. მანველიშვილის შეფასებით, იმ დროიდან კარგავს და გამოდის ევროპის სახელმწიფოებრივი ინტერესების სფეროდან, როცა „ევროპიელი აზიასთან მიმოსვლის ახალ გზებს აღმოაჩენენ (XV ს.). ამიერიდან მისი ისტორიული როლი მცირდება“ (იქვე). ევროპა-აზიის დამაკავშირებელი ახალი სავაჭრო გზების აღმოჩენამ, მკვლევრის აზრით, საგრძნობლად დაამცრო და შეასუსტა საქართველოს საერთაშორისო როლი. თუ მანამდე ამ როლს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა ის ფაქტი, რომ „დასავლეთ-აღმოსავლეთის მთავარი გზა, ინდოეთისაკენ მიმავალი, სწორედ საქართველოზე მიდიოდა“, ახლა ეს გზა უკვე ძალზე დაშორდა ჩვენს ქვეყანას, რამაც საბედისწერო ზეგავლენა მოახდინა მის შემდგომ სახელმწიფოებრივ განვითარებაზე. ალ. მანველიშვილის მტკიცებით, ევროპის სახელმწიფოთა დაინტერესებაც საქართველოს მიმართ სწორედ ამ დროიდან იწყებს მკვეთრად შემცირებას.

მიუხედავად იმისა, რომ ავტორის მიერ გამოთქმულ საკმაოდ ორიგინალურ ამ თვალსაზრისში ყველაფერი ბოლომდე მისაღები და გასაზიარებელი არ არის (ვთქვათ, მტკიცება იმისა, თითქოს ქართველებს კულტურა მხოლოდ ზემოთ აღნიშნულ პერიოდებში აქვთ შექმნილი), ავტორისეული თვალსაზრისის უმთავრესი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი არსი, ჩვენი აზრით, ძირითადად მაინც სწორია და ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი თავისუფლება და ძლიერება მართლაც მნიშვნელოვანწილად იყო დამოკიდებული იმაზე, რა საერთაშორისო როლის შესრულებაც უბეზობდა მას ისტორიული განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე.

ალ. მანველიშვილი არა მარტო უშუალოდ საქართველოში განვითარებული ისტორიული მოვლენების აღმწერლისა და გამაანალიზებლის როლში გამოდის, არამედ იმ უმთავრესი გლობალური მიზეზების ახსნასაც და წარმოჩენასაც ცდილობს, რომელთაც საქართველოს სახელმწიფოებრივი ძლიერების ჯერ დაკნინება-დასუსტება, შემდეგ კი მისი დამხობა განაპირობებს. სხვანაირად რომ ვთქვათ, მისი სამეცნიერო კვლევის უმთავრესი მიზანია იმ გარემოებათა ობიექტური ახსნა და გაცნობიერება, რამაც საქართველო საბოლოოდ რუსეთის კოლონიად აქცია.

ქართველი მეფეების მიერ XV საუკუნის ბოლო წლებიდან დაწყებული პრორუსული საქმიანობა, რაც შემდგომი სამი საუკუნის განმავლობაში თანდათანობით იმდენად გაძლიერდა, რომ საბოლოოდ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვით დასრულდა, ალ. მანველიშვილის შეფასებით, ჩვენი სამშობლოს მესვეურთა მცდარი პოლიტიკის შედეგი კი არ იყო, არამედ საერთაშორისო ვითარებით განპირობებული სახელმწიფოებრივი ბედისწერა. მკვლევარი ღრმად და რწმუნებული იმაში, რომ აღნიშნული მოვლენა ფაქტობრივად იმ პოლიტიკური და სავაჭრო-ეკონომიკური დაპირისპირების თავისებურ შედეგს წარმოადგენდა, რომელიც ევროპასა და აზიას შორის არსებობდა იმხანად.

ევროპის სახელმწიფოთა და რომის კათოლიკური ეკლესიის წინამძღოლთა ამგვარმა პასიურმა და მხოლოდ სიტყვიერ დონეზე გამოხატულმა ინტერესმა ქვეყნის სახელმწიფოებრივი და ფიზიკური გადარჩენის გზათა მაძიებელ ქართველ

მეფეებს თვალი რუსეთისაკენ მიაბყრობინა, რასაც ალ. მანველიშვილი, იმდროინდელი ისტორიული რეალობის გათვალისწინებით, სავსებით გამართლებულ მოვლენად მიიჩნევს. მისი შეფასებით, „რადგანაც ევროპა მისთვის მიუწვდომელი დარჩა“, „მაჰმადიანი ჭეყვნებისაგან განწვალებული და დაქანცული“ საქართველო „ფსიქოლოგიურად ადვილად ურიგდება „ერთმორწმუნე“ რუსეთთან დაახლოვების ცდას“ (გვ. 33).

ალ. მანველიშვილის მონოგრაფიის უმთავრესი მიზანია, პირველწყაროებსა და მდიდარ ფაქტობრივ მასალებზე დაყრდნობით კიდევ ერთხელ წარმოაჩინოს თვალნათლივ, რამდენად შედეგიანი აღმოჩნდა ჩვენი ქვეყნისათვის შექმნილი ისტორიული რეალობით ნაკარნახევი ამ გადაწყვეტილების მიღება.

ალ. მანველიშვილის წიგნში ამ ურთიერთობისთვის ფართოდ დამახასიათებელი ნეგატიური მხარეები, უპირველეს ყოვლისა, რუსული წყაროებიდან მოშველიებულ ფაქტებსა და მოვლენებზე დაყრდნობითაა წარმოჩენილი, რაც კიდევ უფრო ნათლად და დაუეჭვებლად გვარწმუნებს ავტორისეული მსჯელობის სიმართლესა და არატენდენციურობაში.

ალ. მანველიშვილის წიგნის ღირსება ისიც არის, რომ მასში იმ თვალსაზრისის ილუზიურობაცა და სიყალბეცაა მდიდარ დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით დამაჩერებლად ნათელყოფილი, რომლის მიხედვითაც ქართველი და რუსი ხალხების ერთმანეთთან შემსკავშირებელ მძლავრ ძალად ქრისტიანული სარწმუნოება იყო მიჩნეული. ისტორიული ფაქტების მოშველიებით, მკვლევარი ცდილობს არგუმენტირებულად დაგვარწმუნოს იმაში, რომ „ერთმორწმუნე“ რუსები საუკუნეთა განმავლობაში გაცილებით უფრო მეტი სისასტიკითა და ბარბაროსობით იბრძოდნენ ქართველი ხალხის დასათრგუნად, ვიდრე სხვა სარწმუნოების მიმდევარი დამპყრობლები.

მიუხედავად იმ სამეცნიერო ღირსებებისა, რითაც ალ. მანველიშვილის განსახილველი ნაშრომი ხასიათდება და რაზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ, იგი კლასიკური ტიპის მონოგრაფიულ გამოკვლევად მაინც ვერ ჩაითვლება. ეს გარემოება არსებითად განაპირობა იმ ფაქტმა, რომ შესასწავლად აღებული პრობლემის მიზანმიმართულ კვლევა-ძიებასა და ახალი საარქივო და სხვა სახის დოკუმენტური მასალების მოპოვებაზე მეტად წიგნის ავტორი ზოგჯერ საქართველოს ისტორიის საყოველთაოდ ცნობილი ეპიზოდების მოთხრობითაა გატაცებული.

აღნიშნული მოვლენა, ვფიქრობთ, ორი უმთავრესი ფაქტორითაა განპირობებული. პირველი, იმით, რომ ავტორს, რომელიც ხსენებულ ნაშრომს ემიგრაციაში ყოფნის პერიოდში წერდა, ნაკლებად ან საერთოდ არ მიუწვდებოდა ხელი საქართველოში არსებულ საარქივო დოკუმენტებსა და სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაზე. და მეორეც, გარდა მკვლევარ-სპეციალისტებისა, მისი წიგნი მკითხველთა ფართო წრისათვის, უპირველეს ყოვლისა კი უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეებისათვის, იყო გამიზნული, რამაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა ავტორისეული თხრობის სტილის სიტყვიერი სიმსუბუქე და ერთგვარად ბელეტრიზებული ფორმა

OTAR NIKOLEISHVILI**ALEXANDRE MANVELISHVILI AND THE QUESTIONS
OF HISTORICAL RELATIONSHIPS BETWEEN
RUSSIA AND GEORGIA**

During the years of his emigration 1931-1934 Alexandre Manvelishvili wrote an interesting monograph work "Russia and Georgia", first volume, published in 1951 in Paris. The book tells about the relationship between the two countries from the earliest contacts to the 60s of the 19th century. Manvelishvili's book irones certain shortcomings in the science of history of the Soviet period. In his monographic work of the relationship between Russia and Georgia A. Manvelishvili discusses the issue in the background of international situations, based on the immediate connections of events that compelled Georgia to seek after the ways of nearing to Russia.

One of the merits of Alexandre manvelishvili's work is that he presents numerous documental materials that throw light to the hypocrisy and fallacy of the argument of the would-be friendship of Russian and Georgian people based on so-called common Christian confession. Christian Russians fought for subjugation of the Georgian people with far more brutality and barbarity than any other conquerors of different religions.